ინკლუზიური განათლება

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი მხარს უჭერს განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის იდეას და ორიენტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვაზე.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი მიზნად ისახავს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პროფესიულ სტუდენტებისათვის ადაპტირებული პირობების შექმნას. ამისათვის, კოლეჯში დამონტაჟებულია პანდუსები და ეტლით მოსარგებლეებს დაუბრკოლებლად შეუძლიათ გადაადგილდნენ კოლეჯის ტერიტორიაზე. ასევე, ადაპტირებულია სველი წერტილები, თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორიები. გარდა ამისა, მიმდინარეობს ლიფტის მშენებლობა.

კოლეჯში სსსმ სტუდენტებთან მუშაობს კვალიფიციური ინკლუზიური განათლების სპეციალისტი, რომლის მეთვალყურეობითაც მიმდინარეობს სსსმ სტუდენტების სწავლების პროცესი. ინკლუზიური განათლების სპეციალისტი სსსმ სტუდენტებს უწევს საჭირო დახმარებას, როგორც სასწავლო მასალის ათვისების, ისე კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის საკითხებში.

სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის სტრატეგიულ გეგმაში გაწერილია სსსმ სტუდენტების აქტიური ჩართვა სასწავლო პროცესსა და კოლეჯის სხვადასხვა ღონისძიებაში. კოლეჯის ადმინისტრაცია მუდმივად იკვლევს სსსმ სტუდენტების საჭიროებებს, რათა, ეფექტური ღონისძიებების გატარებით, დაძლეულ იქნას არსებული გამოწვევები.